

11  
1915

11-11.12.13. = 44

11  
1915

11  
1915

# შინაური საქმეები.

22/11-65  
11

№ 10.

ფასი ერთი შაური.

წლიური ფასი 3 1/2 მან.

წელიწადი შეშვიდე.

ქველ-კვირული გაზეთი

## კვირა 31 მაისი 1915 წ.

### შ ი ბ ა ა რ ს ი:

- 1) შპირე მოწოდება; 2) საძღველოების უფლებები კიტრათ ფასობს—ხელი; 3) ღრუბლის ჯვარი—ვ. გაგუა; 4) მღვდელმანაზონი იონა—მღვ. ს. მკედლიძე; 5) საღვთო სჯულის მასწავლებელთა საყურადღებოთ; 6) სამარხი ეასის გამგეობას—ხელი.

### უკანასკნელი მოწოდება.

დღითი-დღე უფრო და უფრო საჭირო ხდება საღვდლოებისათვის თავისუფალი, დამოუკიდებელი საკუთარი ორგანო. ამას ამტკიცებს არა მარტო საქმის მოთხოვნილება, არამედ ის ბევრისაგან ბევრი შეკითხვები, რომლებიც დღემდის მოგვდის, როგორც წერილებით, ისე სიტყვიერათა, უფრო კი სიტყვიერათ. ამისათვის ჩვენ კვლავ მზათა ვართ ხელი მოვჭკიდოთ დროებით შეჩერებულ ორგანოს გამოცემას შემდეგი პირობით: 1) უკეთუ ხელის მომწერთა რიცხვი იქნება არა ნაკლებ ხუთასისა და გაზეთის ფასი 5 მანეთი; 2) უკეთუ გაზეთი იქნება სრული დამოუკიდებელი, ე. ი. იგი ეკლესიის საფასით არ გამოიწერება, რომ ხელი არავინ წაუპოტინოს. 3) უკეთუ გაზეთის ფასი სამ ნაწილად შემოუვა რედაქციას საბლადოხინო საღვდლოების არჩეული პირების მიერ

1 იანვარს, 1 მაისს და 1 ნოემბრისთვის ვისაც სურვილი აქვს გაზეთი ამ პირობებით განახლდეს, უმორჩილესად ვთხოვთ უბრალო ღია ბარათით გვაცნობოს და თავის მისამართი გარკვეულად დაგვისახელოს; ამით რედაქცია შეიძლება ხელის მომწერთა რაოდენობის გათვალისწინებას. ფულის გამოგზავნას წინდაწინ არავის ვთხოვთ, სანამ საყოველთაოდ არ ვაცნობებთ, რომ ხელის მომწერთა რიცხვი შეივსო და გაზეთი დაუბრკოლებლად გამოვა.

თუ ივნისის დამლევამდე ხელის მომწერთა რიცხვი ხუთასამდე არ ავიდა, გაზეთი სამუდამოთ დაიხურება.

სანამ ხელის მომწერთა რიცხვი არ გამოირკვევა, გაზეთი არ გამოვა.

რედაქტორი.

### საღვდლოების უფლებები კიტრათ ფასობს!

იმ დროს, როცა ქვეყანა უფლების წიკებისათვის იბრძვის, იმ დროს, როცა უკანასკნელი ქუჩის შუშა თავის უფლებებზე ხმამაღლა ღაღადებს და ქვეყნიერებას შემუსვრას ემუქრება, თუ კაცური უფლებები არ აღიარეს მისთვისაც, საღვდლოების უკვე მოპოებული და აღიარებული უფლებები ფეხქვეშ მოიღებება, კიტრათ იყიდება და კაცი ხმას არ იღებს. ნაცვლად უფლებების გაფართოებისა, პრუნდი



და მართალი, ყველა სამღვდლოებას აჯდება თავზე და მიწასთან გასწორებას უბიროებს. არა თუ ნაბოძებ უფლებებს უზღუდავენ, ისეთ უფლებებსაც წაუპოტინეს ხელი, რომლებიც ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული და არაფის შეუძლია მათი შეხება და მით უფრო შეზღუდვა, თუ კი უნდა უბრალო ცხოველი მაინც იცნოს მღვდელში.

აი მაგალითებიც. ამ ოთხი წლის წინათ საღვდლოებამ, რაღაც თავის საუბედუროთ, საკითხი აღძრა სამარხი კასის დაარსებაზე; რა თქმა უნდა, თავის მდგომარეობის შესაფერი წესდება შეიმუშავა და სათანადო მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად. საღვდლოება სრული დარწმუნებული იყო, რომ წესდება უცვლელად დაუმტკიცდება, რაც კოტა მაინც დააკმაყოფილებდა ის თაემოყვარობას და კეთილ სურვილებს, მაგრამ ჩვენი ახლო უფროსები, რაღა აბეკუნები იქნებოდნენ, თუ თავის გემოზე არ დაამახინჯებდნენ წესლებას იმის დასამტკიცებლად, რომ მათ უფრო იციან საღვდლოების საქიროება, ვიდრე თვით საღვდლოებამ. წესდება თბილისის სემინარიის ყოფილ რექტორს ცნობილ მ. იეროთეოსს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც თავის საკუთარ ქუთუბზე გადაამახინჯა წესდება და კანტორამ, არც აცივა, არც ატყუა, ისე წარუდგინა უწ. სინოდს, რომელმაც კი ხნის შემდეგ დაამტკიცა წესდება და გამოუგზავნა კანტორას, ხოლო უკანასკნელმა საღვდლოებებს. საღვდლოებამ ვეღარ იცნო თავის წესდება, პრინციპიალურათ მიიღო სამარხი კასა, ხოლო დაამახინჯებულ ადგილებზე შუამდგომლობა აღძრა. კანტორამ არ შეიწყნარა შუამდგომლობა და ეპ. გიორგის „უქაზით“ უბრძანა წესდება ძალაში შეეყვანა დღიდან და მტკიცებისა იმ სახათ, როგორათაც დამტკიცებული იყო; ამასთანავე ბევრი ლანძღვა და სისტეკინი „უპნურ“ და „უფიც“ საღვდლოებს, რომელიც იწუნებს სინოდის მიერ დამტკიცებულ წესდებას!! მისმა მეუფებანაც არ გააცივა „უქაზი“ და წესდება ძალაში შეიყვანა, მიუხედავ მღვდლოების პროტესტისა, რომელიც სამართლიანად შენიშნა: „ბატონებო, წესდების დამტკიცება თქვენი საქმე იყო, ხოლო მისი ცხოვრებაში გატარება ისევ საღვდლოების საქმეა და გვაკადვით, სანამ მორიგი კრება მოსუბოდენს.“ ასეთი სამართლიანი ღალადი მისმა მეუფებამ, რომელიც ჩვენი ფიქრით, საღვდლოების ინტერესებს უნდა იცავდეს, „უუურადღე-

ბოთ დასტოვა. კიდევ მეტი: საღვდლოების მიერ არჩეულ პირთაგან ზოგი გამგელობის წევრი გამოირიცხა და სხვა დანიშნა თავის შეხედულებებისამებრ.

მეორე. მოწყალების გაკება, მოგვსენებათ, ადამიანის შინაგანი არსების, გულის საქმეა. ძალდატანება მოწყალების გაკებას არ შეეხება, მით უფრო შეუწყნარებელია სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა მოწყალების გასაკებათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი კაცის მოწყალების გრძობა გაიღვიძებს იმ დროს, როცა მოძმე მოსთავსთავს იცლავს ბრძოლის ველზე, მისი ცოლშვილი კი შინ შიმშილით იხოცება; მით უფრო ვერ აიტანს ასეთ სანახაობას მოძღვრის გული, რომელიც ყოველდღე ჰქადაგობს მოწყალებაზე, შებრალებაზე და რომელიც უკვე გამოკდილია ასეთ საქმეში. იქნებ სხვებმაც რამე ბევრი დააშავა იმერეთის საღვდლოებამ, მაგრამ მოწყალების მხრით, მას ბევრი ამხანაგი არ ჰყავს ჩვენში. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ღვდელს შეუძლებელ პირობებში უბდება სამსახური, იგი ყოველ წლივ ათავისუფლებს თავის სამრევლოში 10-20 ლარიბ-ლატაკს და ქვრივობოლს. რასაკვირველია კანონი უგამონაკლისოთ არ იქნება, მაგრამ 90% საღვდლოებისა რომ მაინც ასეთია, ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. მიუხედავად ამისა მისმა მეუფებამ ყოველის დაუკითხავად ბრძანება გასცა უდრამოთ და უსასყიდლოთ ემსახუროს ღვდელი იმ ოჯახებს, რომლებიდანაც გაყვანილია სათადარიგო ჯარის კაცი. აქ საწყენი უსასყიდლო სამსახური კი არაა, რასაც თითოეული ღვდელი, შეიძლება, თვინიერ ამ ბრძანებისაც შეუსრულებდა დაობლებულ ოჯახს. საწყენი აქ ის არის, რომ საღვდლოება ღირსიც არ გახადეს დაკითხოდნენ, ღირსიც არ გახადეს, რომ ეს სხვერპლი ნებაყოფლობით მიეღო თავისთავზე და არა ბრძანებით და ძალდატანებით, რომლისათვისაც უღეს არავინ მისი მადლობელი არ არის, არც ხალხი და არც მართებლობა, რომელმაც, მგონი სული არაფერი იცის ამის შესახებ. ცოტა სხვერპლიც ნუ გვგონებთ, ბატონებო, ეს: იმერეთის ეპარხიის საღვდლოება საშუალო როცხვით 50-60 ათას მანეთს ფულს სწირავს ამით იმში გაყვანილ სათადარიგო ჯარის კაცთა სასარგებლოთ. რომ თავიანთ გაძლოლოდა ვინმე ამ ფულს, რომ ეს ფული შეგვეკრიბა და მართლა ნაყოფიერათ მოკვებ-მარებია, თუ ვინდ იმავე ჯარის კაცთა ოჯახე-

ბისთვის, უფრო თვალსაჩინო სარგებლობას მოუტანდით ქვეყანას, ვიდრე დღეს მოგვაქვს; მაგრამ საღვდლოებს, როგორც მოგახსენეთ, არ დაეკითხენ, თავისუფლად წაუშოტინეს მის ჯიბეს ხელი და უთავბოლოდ, ყოვლად უმაღლურად და უგვერდულად წაწმინდეს ამოდენა შეწირულება. მაგრამ ჩვენ აქ არც ამას ვსტირით. ჩვენ იმაზე ვღვრით ცრემლებს, რომ ადამიანური უფლება საღვდლოებისა ფეხქვეშ გაითელა, კიტრადაც არ დაფასდა. მხოლოდ შეკითხოვდნენ, მხოლოდ დაეფასებიათ საღვდლოება, დაეფასებიათ მისი ადამიანური თავ მოყვარეობა და, დამერწმუნეთ, არა თუ თითონ გამოიღებდა შესაფერ წვლილს, სამართლიანობას დაიცავდა საქმეში დასხვაგანაც, მრველშიდაც ბევრს მოაგროვებდა შეწირულებას. არაფერი არ უშავდა, რა თქმა უნდა, საღვდლოებისაგან შემდგარიყო ომში გაწვეულთა ოჯახების დახმარე კომიტეტი, როგორც ეს შემდგარია სხვადასხვა წრეებში, ამით საღვდლოებაც თავს ისახელებდა საზოგადოების თვალში და მისი ხელმძღვანელიც, მაგრამ ამას თავი უნდა და საღვდლოების საზოგადოების ადამიანურ საზოგადოებად ცნობა,

მესამე. მოგხსენებთ, საღვდლოებას უმაღლესად მინიჭებული აქვს უფლება აწარმოვოს წმ. თაფლის სანთლის ქარხანა და მისი შემოსავალი თავის საჭიროებისთვის მოიხმაროს, ე. ი. კაბა ანაფორისთვის კი არა, საზოგადო დაწესებულებათათვის, რომლებითაც ფართოდ სარგებლობს საფრო საზოგადოებაც—სკოლებისთვის, ეკლესიებისთვის და სხვა.

გაბრიელ ეპისკოპოსმა გაუხსნა ასეთი ქარხანა იმერეთის საღვდლოებას და თითონ აწარმოვა, სანამ საღვდლოება თითონ შეეჩვეოდა და ისწავლიდა მის წარმოებას, შემდეგ კი საღვდლოების სრულ უფლებაში გადასცა, როგორც წარმოება ისე შემოსავალიც, რომელიც მისი მეუფების მართვა გამგეობის დროსაც სავსებით საზოგადო საჭიროებას ემსახურებოდა. ეპისკოპოსი ლეონიდის წინადადებით და საქმის რამდენიმე დავიარეებით საღვდლოებამ სარფად სცნო სანთლის ქარხანა გელათის მონასტრისთვის გადაეცა, ე. ი. სანთლის ჩამოსხმა ბერებისთვის დაევალებია იმ სასყიდლით, რომელსაც იგი კერძო პირს აძლევდა, რომ ამით ერთი მხრით ბერები უსაქმობის სენისაგან დაეხსნა და მეორე მხრით უსახსრო მონასტრისთვის ცხოვრების და აღორძინების სახსარი გაეჩინა. საღვდლოებას წარმოდგენი-

თაც არ წარმოედგინა, რომ ასეთი მისი გულკეთილობა სანთლის წარმოებაზე უფლების აყრას გამოიწვევდა. წინააღმდეგ იგი დარწმუნებული იყო, რომ მაღლობელი ბერები ყოველწლივ ანგარიშს მისცემდნენ, თუ რა სიკეთე შემატა მონასტერს სანთლის წარმოების იქ ვადატანამ. მაგრამ, როცა ერთ კრებაზე ლაპარაკი შეიქნა იმაზე, თუ რა შემატა მონასტერს სანთლის წარმოებამ, რა გაკეთდა ამ შეიღრვა წელ წადში, ან სად ინახება შემოსული ფული, მთქმელი გაწვებლეს და კრებას სისტეკიანები ააყოლეს: თქვენი მოკლე ქუჩის საქმე არ არის ის, თუ სად ვინახავთ ფულებს, ან რაში ვხარჯავთო, თქვენ ჩამოსხმული სანთელი მიიღეთ და სხვას ნურას კითხულობთ და არც არას გეკითხებითო.

ასეთი სისტეკიანების გულისთვის და იმისთვისაც, რომ საღვდლოება პირადად, ე. ი. საზოგადო საქმეებისათვის ბევრს ვერაფერს დახმარებას ხედავს გელათში სანთლის წარმოებისაგან, უეჭველია შოინდომებს ან საქმე იქვე გელათში იქონიოს თავის მხედველობაში, ან წამოიღოს და აწარმოვოს თითონ. მაგრამ ესეც უნდა ითქვას, ჩვენი უფლებების, ბატონ პატრონების ნებას არ მოგვეცემენ და საქმე ისევე აწეწილ-დაწეწილი დარჩება; მაგრამ ეს კიდევ მყობადის საქმეა და უფლებების მომავალ შებლაღვაზე წინასწარ წუწუნნი ნაადრევია; ამიტომ ამას თავი დავანებოთ და ენახან რომ უფლება აგვადლიტეს ამაზე ვილაპარაკოთ. საქმე იმაშია, რომ ამ ბოლო ხანში ფუთ ჩამოსხმულ სანთელზე 8 მანეთი ფასი მოუმატეს, ასე რომ, დღემდის თუ ფუთი ჩამოსხმული სანთელი 48 მანეთად იყიდებოდა, დღეს მან მანეთად იყიდება. (და რა სანთელი იყიდება, ამაზე ნურას მკითხავთ!). იყიდება და ისიც მარტო ეკლესიებზე, კერძო პირს უწინდებურათ უფლება არა აქვს სანთლის დუქანში სანთელი იყიდოს. სანთლის ფასის მომატება, თუ დაკლება, კერძო პირზე გაყიდვა, თუ არ გაყიდვა,—ეს საღვდლოების უფლებას შეადგენს და არავისაც უფლება არ ქონდა თავის ნებაზე აეწ-დაეწია ფასები და აეკრძალა კერძო ვაჭრობა. ამან კიდევ შენი ქირი წაიღოს, მკითხველო: საღვდლოებას უნდა მიეღო გაკეთებული სანთელი გელათის მონასტრის ბერებისაგან 30 მანეთად, დღეს კი საღვდლოების დაუკითხავად ბერები 30 მანეთს ღებულობენ და ისიც იანგარიღ-გან დაწყებულნი, როცა ფასის აწვევა მხოლოდ მარ-

ტის შუა რიცხვებიდან მოხდა. რას ნიშნავს ეს? საღვდელოების უფლების სულ აბუჩად აგდებას, არა?! შეიძლება გვითხრან საღვდელოების კრება არ მომხდარა და იმიტომ ვქენითო. და მერე ვისი ბრალია, რომ არ მომხდარა? განა თვით საღვდელოება არ კვირობს, რომ კრება არ მოხდა? განა საჭირო არ იყო? განა ესეც საღვდელოების ერთი უფლების ახდა არ არის? კრება 1914 წლის დამლევს უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო არ მოახდინეს. დღესაც შესაძლებელია მოხდეს კრება, იმერეთის საღვდელოებას კიდევ შერჩენია იმდენი ხალისი საზოგადო საქმიანობისა, რომ ეს კრებაც შეადგინოს, მიუხედავად ყოველი დაბრკოლებისა. საღვდელოება დღესაც დაუყოვნებლივ მოელის დეპუტატთა ჩვეულებრივ კრებას ჩვეულებრივ და არა ჩვეულებრივ საკითხების გადასაწყვეტად.

ხელი.

**ღრუბლის ჯვარი**

(ვუძღვნა თავ. დავ. ნიჭარაძეს)

ურწმუნოთათვის თვლების მთხრელი  
და მორწმუნეთა დიდი ნუგეში  
მამოჩნდა ჯვარი, ივერთ მფარველი,  
ივერთ საყვარელს ლაყვარდა ცაში.

ნეტარება მას, ვინც ის იხილა,  
ნეტავე იმას, ვინც იგი სწამა!!  
სამყარო უღმრთოდ არ დარჩენილა  
და ღმერთს რაც სურდა, გვამცნო ჩვენ ცაში.

ძურთხელ იყოს დიადი წამი —  
წინამორბედი განახლებისა..  
მე ღვთის კურთხევა, ეგ ცის საღამი  
არის ნიშანი გამარჯვებისა!

მაიხარენით, ქართლოსის ძენო,  
წინ წაიმძღვარეთ ის ღრუბლის ჯვარი.  
მამაპაპურად, მოხალისენო,  
ეკვეთეთ მტერსა, დასციით თავზარი!

და კვლად ამცნეთ მუსულმანობას,  
რომ არ დამდნარა გულში ფოლადი; —  
მტკიცედ ასრულებს მოვალეობას  
ქართველი ერი მხნე და გულადი!

მამულის, ტახტის დასაკველად  
ვინც არ დაზოგოს სისხლი თავისი,

მას ახლდეს იგი ჯვარი მხსნელად,  
უკვდავი იყოს ხსენება მისი.

ლადი ვაგუა.

**ღვდელმონაზონი იონა (სოფლად ხოშტარია),  
დამაარსებელი ივერიის ახალი მონასტრისა  
ძველ ათონზე და მისი შინაური მტრები.**

მას შემდეგ, რაც ივერიის კარიბჭის ღვთისმშობლის მონასტერი დაეკარგეთ ბერძნების მძლავრობის მეოხებით, ძველ ათონზე არაფერი საკუთრება არ დარჩენია ქართველებს. თუმცა თითო ოროლა ქართველი ბერი ყოველთვის იყო ხოლმე ათონში, მაგრამ არა როგორც მასპინძლები არამედ, როგორც სტუმრები, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ხიზნები ივერიის მონასტრისა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1868 წლამდე, როცა ათონს ესტუმრა ორი მეგრელი ვაჟკაცი: ვახტანგ ბარკალაია და ზემოსენებული იონა ხოშტარია. წინდახედულმა ვაჟკაცებმა ერთბაშათ იგრძნეს საქმის ვითარება, მიხედნენ, რომ ბერძნებთან სტუმრობა და ხიზნობა მათ ხელს არ მისცემდა და დამამცირებელიც იქნებოდა მათთვის, როგორც ქართველებისათვის. ამიტომ განიძრახეს, რაც უნდა გაზხდარიყო, საკუთარი კერა გაეჩინათ: ყოვლად განათლებულმა ივერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, გურიისამ გაბრიელმავე და ოდიშისამ ტარასიმ ხელი შეუწყვეს ამათ განზრახვას და ნება მისცეს ფული შეეკრიბათ დასავლეთ საქართველოში.

მასხოვს, რა ერთგულებით დადიოდა კარი — კარ მამა იონა და ჰკრფოდა კაპეიკობით შესაწირავს, დილიდან ს. ლამომდის მისი მუხლი არ მოიყრებოდა დასაჯდომად და დასასვენებლად. განძრახული საღვთო და საერო საქმე არ უსვენებდა მის მორწმუნე მამული-შვილურ გულს და ესწრაფოდა, რომ მალე ჩაეყარა საძირკველი ივერიის ახალი საეპისკოპოსოსის.

ღმერთმაც ხელი შეუწყო ერთგულ მუშაკებს და მალე აშენდა ათონზე ახალი ივერის იოანე ღვთისმეტყველის საეპისკოპოსოსი. სადაც დღეს ორმოცამდე ქართველი ბერი მოღვაწეობს. სამონასტრო ადგილის არჩევანში მოღვაწეებს მამული-შვილური გრძნობა ხელმძღვანელობდა: ის ადგილი, რომელიც მათ ბერძნებისაგან შეიძინეს სამონასტროდ, უწინ თურმე ეკუთვნოდა ივერიის ქართველთა კარიბჭის ღვთისმშობლის მონასტერს, სადაც თუ

რამე არსებობდა იოანე დვთისმეტყველის საე-  
ვე თავის შესანიშნავ საღვთისმეტყველო და  
აფ-ლოსოფოსო შკოლით, სადაც განათლე-  
ასს ღებულობდა მაშინდელი ქართველი ახალ-  
კაბრლობა.

შეიკრიბა თუ არ მოღვაწეთა საქმარ  
რიცხვი, ახალ დაარსებულ მონასტერში, მღ-  
ვდელმონაზონი ბენედიქტე [ყოფილი ვახტანგ  
პარკალია) მალე დაბრუნდა სამშობლოში  
ახალი შეწირულების შესაგროვებლად, სადაც  
თითქმის სიკვდილამდე დარჩა, შოლოდ ხან-  
დისხან თუ მოილოცავდა ხოლმე სავანეს. მამა  
იონა კი სამუდამოთ დარჩა სავანეში და არ  
მოშორებია მას დღემდის, როცა იგი უკვე  
75 წლის მოხუცია. მიუხედავად თავისი ხნე-  
ნობისა, იგი დღესაც მხნეთ განაგებს. მონა-  
სტერს, მდგრათ უდგია წინ ბერძნების ბერე-  
ბის მძლავრობას, რომლებსაც დიდათ სწყუ-  
რიათ, რომ ეს ახალი სავანეც ხელში ჩააგდონ  
და ქართველი მამები ათონიდან სულ გამოა-  
ძეონ, რომ თვალითაც ვეღარ ხედიდნენ ქარ-  
თველებს, როგორც თავის მეტოქეებს ივერიის  
კარიბჭის მონასტრის ფლობაში.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ ქართველი  
ბერები მამა იონას მეთაურობით დღესაც უში-  
შრად აცხადებენ თავის უფლებას ივერიის  
მონასტერზე, რაც, რა თქმა უნდა, არ სა-  
მოენებს ბერძნებს.

ამიტომ ის თავითვე დიდი უსიამოვნობა  
და შეიწროება აუტანია მ. იონას ბერძნები-  
საგან. ხშირად მათი თავდასხმაც კი განუცდია  
და ვაჟაკურად დაუცავს თავის კერა საქარ-  
თველოს სადიდებელად. უნდა შეენიშნოთ,  
რომ ბერძენ ბერებს არ სცხვენიათ ყაჩაღური  
თავდასხმისა, ამიტომ თავისთავად ცხადია,  
რამდენი სიმხნე და საქმის მოყვარეობა უნდა  
ქონდეს ადამიანს, რომ ამდენი უსიამოვნობა  
აიტანოს და თავის პოზიციაზე თავის სიკუ-  
ცხლის მზის ჩასვლისასაც მდგრად იდგეს და  
არაფის უთმობდეს.

გასაკვირვალი აქ კიდევ ის არის, რომ  
ამდენ გაჭირვებაში მონასტერი სრულიად არ  
კლებულობდა, არამედ თანდისთან იზრდებოდა  
და კეთდებოდა. მ. იონას ხელმძღვანელობით  
გაკეთდა, მაგ., მთავარი ტაძარი იოანე დვთის-  
მეტყველის სახელზე, ძმების საცხოვრებელი  
სენაკები, შესანიშნავი ზეთისხილის ბაღი, მო-  
წეყო ხელნაწერების და ნაბეჭდი წიგნების სა-  
უცხოვო წიგნთსაცავ-სამკითხველო და სხ.

მ. იონა ისე შეეჩვია თავის მდგომარეო-

ბას, რომ მას თითქოს აღარც კი აჯავრებს  
ბერძენ ბერების ავგულობა. მხოლოდ იმის  
ჯავრშია, ვაი თუ მის სიკვდილ შემდეგ მისი  
ნაშრომ ნაღვაწი ისევ ბერძნების ხელში ჩაეარ-  
დეს და ქართველების ხსენება სრულებით მოი-  
სპოს ძველ ათონზე. ამ ჯავრს მ. იონას ის  
გარემოებაც უორკეცებს, რომ მას გაუჩნდნენ  
შინაური მტრები, ისევ ქართველი ბერები,  
რომლებიც აშკარად ემხრობიან ბერძნებს  
და სკდილობენ მათ ხელშივე გადაიდეს  
სავანე, რა თქმა უნდა, მათ (ქართველ ბერების)  
ხელმძღვანელობის ქვეშ.

ჩვენ, ქართველები, რაღაც ბედისაგან და-  
წყველილი ხალხი ვართ. ისე ვერაფერი საე-  
რო საქმე დაგვიწყია, რომ შინაური მტრები  
არ აგვიტყდნენ და ხელი არ შეგვიშალონ. სა-  
მწუხარო აქ უფრო ის არის, რომ ამ შინაურ  
მტრებს არაფერი საზოგადო საქმე ამ შემთხვე-  
ვაში არ აინტერესებს. მარტოდნენ შური, პი-  
რადი ინტერესი, ადამიანის ღირსების დამცი-  
რება და პიროვნების შებღალვა ამოძრავებს  
მათ ბოროტ გულს და არ უსვენებს მათ ვნე-  
ბულ თავმოყვარეობას. თქმა არ უნდა ამიტომ,  
რომ ჩვენში ვერაფერი საზოგადო და საქვე-  
ყნო საქმე ვერ აღორძინდა, რომ თითქმის  
ყველა კერძო ინიციატივით დაწყებული კე-  
თილი საქმე ჩაქრა და ჩაკვდა დასაწყისშივე.  
ჩვენ სამღვდელთაში მაინც ხომ უმწვერვალეს  
წერტილამდე მისული ერთი მეორის ჩაგვრა,  
ბეზლობა, შური, ხელის შეშლა კეთილ საქმე-  
ში, ძალების უკიდურესი დაქსაქსვა და სხვა  
ბევრი უკუღმართი ყოფაქცევა, რომელიც ძირს  
უთხრის არა თუ მხოლოდ საღვდელთაებს,  
როგორც წოდებას, დაამცირებს მასხალხის თვა-  
ლში, არამედ ხელს უშლის საზოგადო ეროვნულ  
საქმესაც, რაც უფრო სამწუხარო და  
სავალალოა.

ვიღაც მომაკვდავ ქართველ შიტროპო-  
ლიტს სთხოვეს ურმე ქვეყანა დალოცე სი-  
კვდილის წინო: „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც  
დადულდებულაო“, უპასუხა თურმე მომაკვდავმა  
და ამ პრინციპით მოაზრე ღვდელთავ-  
რები დღესაც არ გამოგვლევია და, როგორც  
სჩანს, არც დაგველევია. ოღონდ თავის პირო-  
ვნება შეინახონ, ოღონდ თავს არაფერი ავ-  
ნონ და საზოგადო, საქვეყნო საქმეს არ და-  
გიდევნენ და ვინც დასდევს ამასაც ჯვარზე გა-  
გვიკრავენ პირველ შემთხვევისათანავე. რა გა-  
საკვირვალია ამის შემდეგ წვრილი საღვდ-  
ლოებაც ევლისტურ მისწრაფებით იყოს გამს-

ქვალული და პირად სარგებლობაში ხელდაედს თავის მოწოდებას. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ უმფროსის მაგალითი იტაცებს უნცროსებს და მხდელი ბავშვებისაგან გმირებს ჰქმნის. ამის მაგალითები თანადროში თუ არა, წარსულში მაინც ბევრი გვაქვს.

ღიბ ანაფერი ეძრახვის დაბალ საღვდელოებას, მაგრამ ჩვენ მაინც ზიზღით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ეგოისტი შინაური ტრები არა თუ მხოლოდ სოფლად, სადაც, ასე თუ ისე, ნიადაგი აქვს ყოველ ეგოისტურ მისწრაფებას, არამედ მონასტრებშიაც კი აღმოჩნდენ.

პირადად ათონის მონასტრზე რომ ვილაპარაკოთ, რომ ვილაპარაკოთ ქართულ საქმეზე წმ. ათონის მთაზე, იმ საქმეზე, რომელსაც ეს 45 წელიწადია აწარმოებს მამა იონა, ამ საქმეს აღმოჩენილი დაუძინებელი შინაური მტერი, რომელიც პირადი ანგარიშების მიხედვით მხარს უჭირენ ჩვენი ევერიის მონასტრის მძარცველ ბერძენ ბერებს და უნდათ სრულიად მოსპონ უკანასკნელი სახსენებელი ქართველებისა ძველ ათონზე. და კიდევ უმეტესი, უნდათ, რომ ეს წმიდა საიანე მოაძულონ ქართველებს და გული აუცურონ მის მოვლა-პატრონობაზე, თუმცა დღევანდელი ქართველობა მაინც-და მაინც ბევრ გულშემატკივრობას არც იჩენს ძველ მამაპაპეულ სიმდიდრეზე.

ცნობილი ძველ ათონზე ორი ქართველი ღვდელ-მონაზონი — მ. გიორგი (დარჩია) და მწირბერი მ. იოანე (ქანტურია) წერილებს წერილებზე გვიგზავნიან, რომლებშიაც გვარწმუნებენ ბერძენების გულკეთილობაზე და ქართველების განსაკუთრებით იონას, უდიერ და უმართებლო საქციელზე, რომელიც ვითომდა ძირს უთხრის ქართულ საქმეს ათონზე. დღემდის ჩვენ გვეგონა, რომ ასეთი წერილები მარტო ჩვენ მოგვლიდა, როგორც ქართულ სასულიერო ორგანოს მაწარმოებელს, დღეს კი გავივით, რომ ასეთ წერილებს უგზავნიან ეს პირები ყველა ქართველ პატრიოტ-მოღვაწეებს.

ჩვენ კარგათ ვართ გაცნობილი მ. იონას პიროვნებას და ამიტომ ტყვილა იღლებიან ხსენებული მამები. იგინი ვერ დაგვარწმუნებენ ჩვენ იმის წინააღმდეგ, რაც კარგათ ვიცით და გავვივია. უნჯობესია გაჩუმდნენ და ხელი არ შეუშალონ მოხუცს, რომელსაც ყველაფერი პირადი სარგებლობა უარ-უყვია, რომ წმ. ათონზე ქართველის სახელი არ მოიპოს და ძველი დიდება-ივერიის კარიბკის

ლეთის მშობლის დიდებული მონასტერი, თორნიკე ერისთავის მოღვაწეობით აგებული და ქართველ მეფეთა და მთავართა შეწირულობით განშვენებული, ისევ ქართველებს დაუბრუნდეს. ასეთ დიდ მისწრაფების განხორციელებაში, თუ არ ვეხმარებით, ხელს მაინც არ უნდა უშლიდეთ პატიოსან მოხუცს. ვაბრთხილებთ ძმებს გიორგის და იოანეს, რომ მათ წერილებს ჩვენ ამიერიდან არავითარ ყურადღებას არ მივაქცევთ. იმედია ასე მოეპყრობიან მათ წერილებს ისინიც, ვინც ჩვენს გარდა ღებულობს.

მღვდ. ს. მჭედლიძე.

### საღვთო სჯულის მასწავლებლთა საუკრადღებოთ.

არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ ჩვენი სკოლები ძლიერ ღარიბია ქართული სახელმძღვანელო წიგნებით. თუმცა საღვთო სჯულის სახელმძღვანელოები უფრო მეტია სხვაზე, მაგრამ აქაც პედაგოგიური თვალსაზრისით ბევრი ნაკლულევაანება უნდა აღვიაროთ. ზოგს ლოცვანი არ ახლავს თან, ზოგი ენის მხრით ნამეტანი მიძიმეა, ზოგი პროგრამასთან არ არის შეთანხმებული; ერთნი ძალიან გრძლიად აგვიწერენ ისტორიულ მოთხრობებს, მეორენი ნამეტან მოკლეთ და სხ. ამიტომაც ჩვენ განვიძრახეთ გამოგვეცა ქართული სახელმძღვანელო საღვთო სჯულისა. ჩვენი გამოცემა ცდაა ამ ნაკლებების თავიდან აშორებისათვის და რამოდენიმე სხვა ახალი დადებითი მხარეების შემოტანისათვის. რამდენათ მივალწიეთ მიზანს, ეს სავსებით მკოდნე პირთათვის მიგვიჩვეია, ხოლო ჩვენ აქ გვიჩვენა ორიოდ სიტყვით დავასურათოთ ჩვენი გამოცემის პლანი და მიზანი. მაგრამ სანამ ამას ვიზამდეთ, ორიოდ სიტყვა უნდა ვსთქვათ საზოგადოთ საღვთო სჯულის სწავლებაზე ჩვენ შკოლებში.

რამდენათაც საღვთო სჯულის მასწავლებლებთან გვისაუბრნია სავანის სწავლების შესახებ, თითქმის უმეტესი ნაწილი იმ აზრის არის, რომ არა თუ შეიტანონ სახელმძღვანელო სკოლაში, არამედ მისი სახელიც არ უხსენონ ბავშვებს და საღვთო მოთხრობები, ისე, როგორც ლოკვებიც, სიტყვიერად, ზეპირად ასწავლონ. ასეთ პედაგოგურ ზომის გასამართლებლად მასწავლებლებს ის საბუთი მოჰყავთ, რომ 1) ბავშვები იზნევიან წიგნში, 2) ვერ ითვისებენ წიგნის ენას, 3) არ აქვთ დრო, რომ სახელში დაეკოთხონ და დაისწავლონ ვაკეთილი, 4) ამასთანავე-

ნის ყიდვაც სიღარიბის გამო შეუძლებელი ხდება. ამ საბუთების უსაბუთობა თავისთავად ცხადია. 1) თუ „დედაენაში“ დასხვა სახელმძღვანელოში არ იბნევა ბავში, არც საღვთო სჯულის სახელმძღვანელოში დაიბნევა. 2) თუ წიგნის ენას ვერ ითვისებს ბავში, ეს ისევ წიგნის ენის ბრალია და, მაშასადამე, ადვილი გასაგებია ენით დაწერილ წიგნს ბავშიც ადვილად გაიგებს. 3) გაკვეთილი ყველა საგანში წიგნიდან ეძლევა ბავშვს, რადგან ყველა საგანში წიგნი აქვს, და ყველა საგანს წიგნიდან სწავლობს შინ, მაშ რაღა საღვთო სჯული უნდა შეადგენდეს ამ მხრით გამოჩაქვის? 4) რაც შეეხება წიგნის ყიდვას, საღვთო სჯულის არც ერთი სახელმძღვანელო სიიადით არ ჩამოუვარდება დასხვა სახელმძღვანელოებს.

გარდა ამისა წიგნის ხმარებას სკოლაში ბევრი სხვა დადებითი მხარეც აქვს: 1) ბავში ჩვევა წიგნის ხმარებას, მის კითხვას და იქიდან აზრების ამოკრებას, თან უვითარდება კითხვის შექანზმაც, რაც ერთ დიდ მნიშვნელოვან მიზანს შეადგენს სკოლისას. 2) საღვთო სჯულის მასწავლებელი ყოველთვის გვერდში უბრუნდება ბავშვს, რომ ყოველ საჭიროების დროს უხელმძღვანელოს, წიგნი კი ყოველთვის მაგიდაზე ძვეს და, როცა კი საჭირო შეიქნება, მხათ არის განმარტება მისკენ შეიხვედეს. 3) წიგნით ისარგებლებს ოჯახში არა მარტო სკოლაში მოსიარულე შვირიდი, რამედ ყველა კითხვის მცოდნე და არმცოდნეც, რადგან სმენით გაიგონებს წანაკითხს. 4) სკოლამ შვირდს უნდა განუვითაროს წიგნის სიყვარული, უნდა შეაგნებოს, რომ ყოველივე საჭირო ქვეყნიური, თუ ზეციური ცხოვრებისათვის წიგნიდან შეგვიძლია ამოვიკითხოთ და გავიგოთ და, მაშასადამე, წიგნის კითხვა ყოველთვის საჭიროა კაცისათვის. თუ მაგარდმა ასეთი სიყვარული არ გამოიტანა სკოლიდან წიგნის შესახებ, ამაოდ ჩაივლის მისი ხუთი წლის სიარული სკოლაში, მალე ყველაფერი დაივიწყდება და იგივე უვაცი ტეტია გარჩება, როგორც იყო მისი მამა-პაპა. 5) თუ ეს ასეა, საღვთო სჯულის მასწავლებელი უნდა ცდილობდეს განუვითაროს შვირდებს ენო საღვთო შინაარსის წიგნების კითხვისა, მათა მან სკოლას გარეთაც არ შესწყვიტოს სწავლა საღვთო საგნებისა და შეგნე-ქვეშაობა ქრისტიანობისა. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ასეთი აზრი საღვთო სჯულის სწავრით მასწავლებლებზე არსად არ შეგვხვედრია, გარდა

ჩვენი კურთხეული ქვეყნისა. ჩვენი აზრით კი კარგი სახელმძღვანელო კარგი მასწავლებლის ზადალია და მასთან ერთად დიდ საქმეს ვაკეთებს სკოლაში.

ჩვენი წიგნის ზღანი ასეთია: დასაწყისში მოთავსებულია სანიმუშო საუბარი მასწავლებლისა დმერთზე, ღვთის განგებაზე და ლოცვაზე, მაგრამ არა ისე მშრალად, როგორც თითქმის ყველა სახელმძღვანელოებში. ამ საუბარს (თუ უკეთეს ვერ მოახერხებს) მასწავლებელი თავის სიტყვით გადსცემს შვირდებს, არა იმიტომ, რომ მეორედ ღვთის ანგარიში მოსთხოვოს მათ საუბრის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ შეიგნონ ბავშვებმა თუ ვინ არის დმერთი, რა მოხელეა იგი ქვეყნისათვის და როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიოს კაცმა მასთან.

შემდეგ საუბრისა მოყვანილია ყველა პირველ წელიწადს სასწავლო ლოცვები და შემდეგ ლოცვანი და საღვთსაწაულო ტროპრები.

ლოცვანი ისეა დაწყობილი, რომ იგი შეიძლება სახელმძღვანელოდაც ვიხმაროთ ლოცვების სწავლის დროს და კიდევ შევასრულოთ დილის და საღამოს ლოცვა. ლოცვანის შემოტანა იმიტომ განვიზრახეთ, რომ სასკოლო პროგრამით დადებულთა სკოლაში დილის საერთო ლოცვა, რასაც ღვთის უცილობლად ასრულებენ გემნაზიებშიაც კი, თუმცა, სამწუხაროდ იშვიათ დაწყებით სკოლას შეხედებით, რომ ამ წმიდა მოვალეობას ასრულებდეს. შეიძლება ეს იმის მიზეზიც იყოს, რომ ხშირად ლოცვანი ხელქვეით არ მოიბოგება სკოლაში. ამიტომაც საჭიროა, რომ ასეთი ლოცვანი ახდეს თვით სახელმძღვანელოს, რომ სკოლაში შეჩვეულმა ბავშვმა, სახლშიდაც შეასრულოს საღამოს ლოცვა, რასაც მასწავლებელი, იმედი გვაქს, დაავალებს მას.

ძველი აღთქმის ისტორია მოკლეთ არის გადმოცემული, დაახლოებით თვით დედანთან, და არა ისე გაბრტყელებული, როგორც ზოგიერთ სახელმძღვანელოებში. ბოლოში ჩართული აქვს ერთი სტატია სათაურით „რა არის ძველი აღთმა“? აქ, რამდენადაც შესაძლებელია ბავშვებისათვის, განმარტებულია ძველი აღთქმის აზრი, როგორც მოსამზადებელი ხანისა. ამ სტატიის შეტანა საჭიროთ დავინახეთ იმიტომ, რომ ბავშვს ესმოდეს რათ ისწავლა მან ძველი აღთქმის საღვთო სჯული, რა გაიგო მან იქიდან, რომ შემდეგ შეგნებულად გადავიდეს ახალ აღთქმაში. ახალი აღთქმა კოტა უფრო ვრცლად არის ნაამბობი, რად-

გან ეს უფრო საჭიროა ქრისტიანისათვის. თავის ადგილზე ამ განყოფილებაში ჩართულია სტატია: „რას ასწავლიდა იესო ქრისტე“? გამოცდილებით ვიცი, რომ დაწყებით სკოლაში კურს-დამთავრებული ბავშვი ამ კითხვაზე ვერას მოგიგებს; თუმცა მან იცის ზოგიერთი სწავლა ქრისტესი იგავებიდან, მაგრამ შემთხვევის დროს ვერ სარგებლობს ამ ცოდნით და არ აქვს მთლიანი წარმოდგენა იესო ქრისტეს სწავლა-მოძღვრობაზე.

როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის მოთხოვნებს თან სდევს მოთხოვნის შინაარსის აღსადგენი ან გასაშეორებელი კითხვები; აგრეთვე სადაც შესაძლებელია, მოკლე დარიგებას, ან ზნეობრივი სწავლა, რომელიც გამოდის მოყვანილი მოთხოვნიდან. კარგი მასწავლებელი თვით ბავშვებს გამოაყვანიებს ასეთ ზნეობრივ დარიგებას მოყვანილი მოთხოვნიდან და შემდეგ წიგნზედაც მიუთითებს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ პირდაპირ ვადასცემს მოყვანილ დარიგებას. ასეთი ზნეობრივი სწავლა, ჩვენის აზრით, მეტათ საჭიროა სკოლაში, რადგან საღვთო სჯულის სწავლების უმთავრესი მიზანიც ის არის, რომ გააფაქიზოს და აამაღლოს შაგირდების ზნეობა და სარწმუნოებრივი გრძნობა.

წიგნის შემდეგი განყოფილება წარმოადგენს საღვთო მსახურებას (სოცლუჟენიე) და კატეხიზმოს. პირველში შაგირდი მოკლეთ ეცნობა ტაძარს თავის მორთულობით, კერძო და საზოგადო ღვთის მსახურებას, საღვთო შესამოსელს, საეკლესიო ჭურჭლებს და სხ. მათი მნიშვნელობით; აგრეთვე საეკლესიო წიგნებს, მარხვებს, დღესასწაულებს მათი მნიშვნელობით, წირვას და ღამისთევით ლოცვას.

კატეხიზმო წარმოადგენს მოკლე განმარტებას სიმბოლო სარწმუნებისას, ნეტარების მცნებებისას და ათიმცნებისას.

ყველა ეს შედგენილია გასაგები ენით, მაგრამ ისე კი არა, რომ სული ბავშური, ან ხალხური ენა იყოს. ეს საზარალოც იქნებოდა, რადგან წიგნმა ენაც უნდა შეასწავლოს შაგირდს.

ამ წიგნის 400 ცალი გადავლევით საღვთო სჯულის მასწავლებლების და სკოლებისათვის მუქთად დასარიგებლად პირველ გასაცნობათ. გასაცნობათ მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ წიგნი „შინაური საქმიანობის“ რედაქციაში, ხოლო მსყიდველთ — გამომცემლის, ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქ. ქუთაისში

მღ. ს. მჭედლიძე.

ნებადართულია საშხ. ცენზორისაგან. ქუთაისი. სტამბა „ძმობა“, ქარვას. ქ. სახლი ჩარქოვისა.

**სამარხი ქანის გამოვლის საუბრადღეობა**

ბბ. გამოვლის წვერებო!

ნუთუ არ გესმის, ნუთუ არ გრძნობ, რომ თქვენი შემადგენლობა უკანონოა? წესდების ერთ-ერთ მუხლში (სახელდობრ ვერ უჩვენებთ, რადგან წესდება ხელთ არა გვაქვს) განმარტებულია, რომ გამოვლის წვერებს საღვთოების კრება ირჩევს და არა სხვა ვინმე.

აქედან ცხადზე უცხადესია, რომ თქვენი შემადგენლობა უკანონოა, როგორც მთელი თქვენი საქმის წარმოება, რომელიც თქვენთვის საღვთოების არ დაუვალვია; რადგან არც წესდება მიუღია იმ სახით, რა სახითაც მას დააძალეს იგი და რა სახითაც თქვენ მას აწარმოებთ. თუ ეს გარემოება ასე გეგმის, რათ არ სწითლდებით, როცა ისეთ საქმეს აწარმოებთ, რომელიც თქვენთვის საღვთოების არ დაუვალვია. და თუ თქვენ თავს საღვთოების ნდობით აღჭურვილ პირებათ სთვლით, მაშინ რათ არ ასრულებთ საღვთოების დადგენილებას შესახებ ქანის საწარმოო ფულისა, რომელიც უკანასკნელმა კრებამ განსაზღვრა 600 მანეთით წლიურათ? თქვენ გმართებდათ თავის დროზე უარი გეთქვათ ისეთი დაწესებულების გამოვობაზე, რომელიც თავიდან ბოლომდე ძალმოპირებოდა ზეა აშენებული. მაგრამ, როგორც იმ თავითვე, აღვიარეთ, თქვენ ამ შემთხვევაში, ცოცხალი იყოს, პირადი ინტერესი დაიკავეთ და საღვთოების უფლებას ერთი მუჯღუგუნე თქვენც წაჰკარით. თქვენ გმართებდათ ფრთხილად მოპყრობოდით საღვთოების უფლებას და ხელი არ გაგეროათ მის უფლების განიავებაში, რადგან თქვენც უმეტეს ნაწილათ საღვთოების ბრძანდებით. კარგი იქნება ახლა მაინც შეიგნებდეთ თქვენ უზნებულ მდგომარეობას და შესაფერ ზომებს მიიღებდეთ იცოდეთ, საღვთოების მადლობას არ გეტყვის თქვენი მოღვაწეობისათვის, როგორც არ ეტყვის ამას სხვასაც. ვინც ებ. პიპენს მხარი დაუჭარა და მის მიერ ღანძღვა-თრევი უკან დაბრუნებული წესდება საღვთოების თავზე მოახვია.....

ვინმე ღვდელი.

რედაქტორი ს. მჭედლიძე.  
გამომცემელი ი. ლეკუა.